ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №42-60

2024 წლის 12 ივლისი

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 20/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016587) და დადგენილების:

ა) პირველი მუხლის „ა" პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (დანართი №1)" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (თან ერთვის ცვლილების საინფორმაციო მასალა);

ბ) პირველი მუხლის „ა" პუნქტის „ა.თ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა (დანართი №1.8)" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

გ) პირველი მუხლის „ბ" პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის" (დანართი №2) 72-ე მუხლის:

გ.ა) მე-3 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,$პ^1$" ქვეპუნქტი:

„$პ^1$. სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ან სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარება, სპორტული კომპლექსის მშენებლობის მიზნით.''

გ.ბ) მე-4 პუნქტის ,, დ'' ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$დ^1$" ქვეპუნქტი:

,,$დ^1$. არეალის სამშენებლო განვითარებისას, ხელშემწყობი ღონისძიების სახით შესაძლებელია განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების წესებით ავტოსადგომების რაოდენობისთვის დადგენილი რეგულირებისგან გათავისუფლება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**